ოქმი:**ო03. 3726051001**

თარიღი:**20/02/2026**

ოქმი № 3

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო

კომისიის სხდომის

2026 წელი, 20 თებერვალი

ქ.ოზურგეთი

12:00-12:30 - საათი

თავმჯდომარეობდა: გელა ჩავლეშვილი- მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე.

ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: დ. ასათიანი, დ. კიკვაძე, გ. კალანდაძე, ნ. გობრონიძე, თ. ქინქლაძე, ქ.ხომერიკი, ვლ.ხავთასი, გ.გაბისიანი, კ.კვაჭაძე, დ.თოიძე.

სხდომის თავმჯდომარემ, კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების სამსახურებრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად საჭირო ავტოპარკის გადანაწილებისა და კლასიფიკაციის წესის დამტკიცების შესახებ- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის თაობაზე.

მომხსენებელი: გელა ჩავლეშილი

თანამომხსენებელი: გენო მორჩილაძე

2.,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 16 იანვრის N1 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის შესახებ.

მომხსენებელი: გელა ჩავლეშვილი

თანამომხსენებელი: გენო მორჩილაძე

3.,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა, საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის

დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №6 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის თაობაზე.

მომხსენებელი: გელა ჩავლეშვილი

მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარემ გ. ჩავლეშვილმა კომისიის წევრებს გაცნო მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილი დადგენილების პროექტი, განაცხადა, რომ აღნიშნული დადგენილება აწესრიგებს მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის ორგანოების მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული ავტოსატრანსპორტო საშუალებების გამოყენების საკითხს, დადგენილების კონკრეტულ მუხლებზე ისაუბრა თანამომხსენებელმა გ. მორჩილაძემ. სხდომის თავმჯდომარემ გ. ჩავლეშვილმა დააყენა საკითხი სამსახურებრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად დასახელებულ პირთა ჩამონათვალში, საკრებულოს შემთხვევაში-საკრებულოს თავმჯდომარესა და მოადგილეებთან ერთად გაეთვალისწინებინათ საკრებულოს სხვა პოლიტიკური თანამდებობების პირები და სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი. აღინიშა, რომ პროექტი შემუშავებულია მთავრობის შესაბამისი გადაწყვეტილებების თანახმად და შეიძლება წარდგენილ იქნას საკრებულოს მორიგ სხდომაზე განხილვისა და საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებაზე დაყენების მიზნით.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს დადგენილების პროექტის საკრებულოს მორიგ სხდომაზე განსახილველად წარდგენას საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებაზე დაყენების მიზნით.

სხდომის თავმჯდომარემ გ. ჩავლეშვილმა კომისიის წევრებს მოკლედ გააცნო დღის წესრიგის მეორე საკითხი, აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირების და საჯარო მოსამსახორეების შრომის ანაზღაურებაში ცვლილებები განპირობებულია კოეფიციენტის ზრდით. დადგენილების კონკრეტულ მუხლებზე ისაუბრა თანამომხსენებელმა გ. მორჩილაძემ.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს დადგენილების პროექტის საკრებულოს მორიგ სხდომაზე განსახილველად წარდგენას.

სხდომის თავმჯდომარემ გ. ჩავლეშვილმა კომისიის წევრებს მოკლედ გააცნო დღის წესრიგის მესამე საკითხი, განაცხადა, რომ მუნიციპალიტეტის საკრებულოშიც თანამდებობის პირებისა და აპარატის საჯარო მოსამსახურეების შრომის ანაზღაურების ზრდა განპირობებულია შესაბამისი კოეფიციენტის ზრდით.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს და აქაც მხარი დაუჭირეს დადგენილების პროექტის საკრებულოს მორიგ სხდომაზე განსახილველად წარდგენას.

გადაწყვიტეს:

სხდომის დღის წესრიგში შეტანილი სამივე საკითხი წარედგინოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგ სხდომას განსახილველად, მათ შორის N1 სკითხი განხილვისა და საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებაზე დაყენების მიზნით.

გელა ჩავლეშვილი

საფინანსო-საბიუჯეტო კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი